ეროვნული ბიბლიოთეკა
3ლ
n 70/6



# ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3, ტელ.: 36-41-85, ფაქსი: 36-32-41
www.manuscript.ge

## ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია საქართველოში. იგი დაარსდა 1958 წელს პროფესორ ილია აბულაძის ინიციატივით.

ცენტრის საცავებში თავმოყრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნთსაცავსა თუ კერძო კოლექციაში დაცული ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური: უნიკალური ხელნაწერები, უნიშვნელოვანესი საისტორიო დოკუმენტები, უმდიდრესი საარქივო მასალა, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები, მემორიალური ნივთები, ხელოვნების ნიმუშები...

აქ დაცული უნიკალური კოლექცია მრავალ დარგსა და სფეროს მოიცავს: ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა, სამართალი, ლექსიკონები, სამკურნალო წიგნები, მხატვრული ლიტერატურა, ბიბლიური ტექსტები, აგიოგრაფია, საეკლესიო სამართალი, ფილოსოფია, ასტროლოგია, მათემატიკა, სამხედრო ხელოვნება და სხვა.



### სამუშაო საათები

**ადმინისტრაცია**
ორშაბათი-პარასკევი
10.00-18.00

**ბიბლიოთეკა**
ორშაბათი-პარასკევი
10.00-17.30

**სამკითხველო დარბაზი**
ორშაბათი-პარასკევი
11.00-17.30

**საგამოფენო დარბაზი**
ორშაბათი-პარასკევი
11.00-17.00

## ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თავმოყრილია:

V-XX საუკუნეების 10.000-მდე ქართული და 5.000-მდე უცხოური (არაბული, სპარსული, თურქული, რუსული, სომხური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული, ლათინური, ებრაული, პოლონური, ინგლისური, ჩეხური, სირიული, ეთიოპიური, მონღოლური და სხვ.) **ხელნაწერი წიგნი**. მათი ერთი ნაწილი ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული თუ უცხოური პალიმფსესტები, რომელთა რაოდენობა ათასობით ფურცელს აღწევს. ცენტრში დაცულია ბერძნულ და ლათინურენოვანი სრულიად უნიკალური პაპირუსების კოლექციაც (ქ. წ. III - ქ. შ. VII სს.).

X-XIX საუკუნეების 40.000-მდე ქართული და 5.000-მდე უცხოენოვანი **ისტორიული დოკუმენტი**. უცხოური საბუთებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპარსული და თურქული დოკუმენტები, მათ შორის კი – შაჰებისა და სულთნების გაცემული დოკუმენტები...





XIX-XX საუკუნეების 200-მდე ქართველი თუ უცხოელი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პირადი არქივი, მათ შორის – ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ევგენი ვეიდენბაუმის **არქივები**.

ცენტრს მდიდარი სამეცნიერო **ბიბლიოთეკა** გააჩნია, სადაც რარიტეტული და ახალი ქართული თუ უცხოური გამოცემების გვერდით ინახება ძველნაბეჭდი წიგნების ძვირფასი კოლექცია, მათ შორის – პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები: ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ანბანი ლოცვებითურთ (1629), ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარება (1709), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა (1712) და სხვ.

ბიბლიოთეკის ძირითად ფონდებში დაცულია ჰუმანიტარული მიმართულების 70.000-მდე ქართული თუ უცხოენოვანი წიგნი.

ცენტრში ფუნქციონირებს ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, ილია აბულაძის, ნიკო ბერძენიშვილის, შალვა ამირანაშვილის, ელენე მეტრეველის, ნინო და კალისტრატე სალიების, თამარ და აკაკი პაპავების მემორიალური კაბინეტები.

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებას წარმოადგენს. აქ მიმდინარეობს საქართველოსა და უცხოეთის საცავებში დაცული ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტებისა და პირადი არქივების აღწერა, სისტემატიზაცია, შესწავლა, პუბლიკაცია და მონაცემთა ბაზების შექმნა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.

ცენტრში ფუნქციონირებს **რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორია**, სადაც ხორციელდება ქაღალდისა და ეტრატის ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტების, საარქივო მასალის, ძველნაბეჭდი წიგნების რესტავრაცია და კონსერვაცია.

**დიგიტალიზაციის ლაბორატორიას** ცენტრის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საცავებში თავმოყრილ ქართულ თუ უცხოენოვან ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტთა უმდიდრესი კოლექციის დაცვის, ფიქსაციისა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანის მიზნით გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ხელნაწერი გვერდებისა და მინიატიურების, დოკუმენტებისა თუ ფოტოების დიგიტალიზება – ციფრულ მატარებლებზე გადატანა.



ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტი **სამუზეუმო საქმის** თანამედროვე დონეზე ორგანიზებაა. ქართული თუ უცხოური ხელნაწერების, საისტორიო და საარქივო მასალის ექსპონირებამ და ამ გზით ქართული წერილობითი კულტურის განვითარების ხაზის ჩვენებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართული მეცნიერების პოპულარიზების საქმეში.



ქართული ხელნაწერები



უცხოური ხელნაწერები



ისტორიული დოკუმენტები



პირადი არქივები



იშვიათი გამოცემები



მემორიალური კაბინეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა